ელენე კოდაევი 15 წელის,

სკოლა,კლაისი: N16 საჯარო სკოლა, XI კლასი

ამბობენ, დრო ყველაფერს ცვლისო, მაგრამ, რატომღაც მან ისევ ვერაფერი დააკლო ადამიანის მენტალიტეტს და თანამედროვენს, ჩემი გადასახედიდან, პირველყოფილი არსების თვისებათაგან უფრო მეტი შემორჩა, ვიდრე ცივილეზებული ადამიანისა შეიძინა. სამყარო ვითარდება, თუმცა დღეს ერთ-ერთი აქტუალური და გადაუჭრელი პრობლემა ისევ ტოლერანტობაა. 21-ე საუკუნეში ისევ დევნიან და შეურაცხყოფენ, აბუჩად იგდებენ და ავიწროვებენ განსხვავებული წარმომავლობის, კანის ფერისა და რელიგიის ხალხს. მაგრამ ჩემი მამული იმით გამოირჩევა სხვა ქვეყნებისაგან, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იგი ხელგაშლილი ხვდებოდა მტერსა და მოყვარეს და აფასებდა მათ კულტურასა და სარწმუნოებას. ვფიქრობ, მართლაც, დროულია ჩვენი წინაპრების შემწყნარებლობისა და სიყვარულის მაგალითების კიდევ ერთხელ გახსენებით, შევახსენოთ თანამედროვე-გაუცხოებულ, სიყვარულის ნაკლებობის, მხოლოდ ეგოისტური (პირად სურვილებზე ორიენტირებული) ფიქრებით მოქმედ სამყაროს, რომ სამყაროს არსებობის საფუძველი მხოლოდ სიყვარულია და ამ სიყვარულს არ აქვს სოციალური სტატუსი, რელიგიური მრწამსი თუ პოლიტიკური შეხედულება და, რომ უფლისთვის როგორც ნიკო ლორთქიფანიძე ამბობს ყველა ადამიანი ერთნაირია: ,,ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრიობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც დაფასება, არც გამრავლება, არც გამოკლება. იგი უფასოა. იგი ერთია, მუდამ ერთი. ადამიანი მუდამ ადამიანია - არც მეტი და არც ნაკლები.“ (ნიკო ლორთქიფანიძე)

ქართველი ერი მუდამ თავისი სისხლით იცავდა მშობლიურ ენასა და რელიგიას. სწორედ, წინაპართა სისხლსა და ძვლებზეა დაშენებული ჩვენი მამული, მაგრამ გასაჭირში მყოფი მტრის მიმართ არა ბოღმა და რისხვა, არამედ სიბრალული და თანაგრძნობა გვმართავდა. ამის ძალიან კარგი მაგალითია ქვეყნის ერთგული, ღვთისმოშიში, კაცთმოყვარე და სამართლიანი სარდალი - თორნიკე ერისთავი, რომელმაც სპარსელებთან ბრძოლაში ჰუმანურობა გამოიჩინა, მან ქართველები გააფრთხილა, რომ განურჩევლად, ყველას დახმარებოდნენ, დაჭრილთათვის ემკურნალათ, ხოლო გარდაცვლილები საპატიოდ დაეკრძალათ.

,,ბრძანა თორნიკემ: - ,,გაურჩევლად,

ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,

გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,

სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი!“

(აკაკი წერეთელი)

ეს ისტყვები უფრო მეტად წარმოაჩენს ქართველებს, როგორც ღვთისგან კურთხეულ, შემწყნარებელ ერს. ქართველები არსებობდნენ და საზრდოობდნენ იმ სწავლებით, რომელიც უფალმა ჩვენ ცხოვრების არსის შესაცნობად გვიბოძა: ,,გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ისინი მუდამ ისწრაფვოდნენ სრულყოფილებისაკენ და ცდილობდნენ თავიანთი ქმედებით ყოველდღე ქრისტეს დამსგავსებოდნენ. თორნიკე ერისთავი ამბობს:

,,ნურვინ გაჰბედავს,დატყვევებულებს

რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!“

(აკაკი წერეთელი)

ეს სტროფი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თორნიკე ერისთავის შემწყნარებლობასა და ჰუმანურობას. ქართველთათვის დამახასიათებელ ამ თვისებას წარმოაჩენს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ქცევა, რომელმაც 5 საუკეთესო ქართველის მკვლელ ყიზილბაშს დიდსულოვნად მიუტევა, უთანასწორობით არ ისარგებლა და არ წაართვა უფლის საჩუქარი - სიცოცხლე.

,,სპარსელმა ფარი დაახვედრა მახვილს, მაგრამ ისე ღონივრად მოექნია ქართველს ხმალი, რომ მომხდური ცხენიდან გადმოვარდა. გაუძნელდა სპარსელს ფეხზე ადგომა. გოსტაშაბიშვიილი ცხენიდან ჩამოხტა, ყიზილბაში ფეხზე ააყენა და უთხრა - შენი თავი შენივე ვაჟკაცობისთვის მიპატიებიაო.“ (ილია ჭავჭავაძე)

ვაჟკაცობა და მიმტევებლობა ერს წინაპართაგან გადმოჰყვა, წინაპართაგან ისწავლა და დღესაც ინახავს გულში. დღესაც უფრთხილდება და ზრუნავს, რადგან იცის თუ ამას დაკარგავს სამუდამოდ მოშორდება უფლის კალთას. ამ საკითხს ეხმიანება ვაჟა ფშაველა პოემა ,,ალუდა ქეთელაურში“. ალუდა, რომელმაც საუკუნოვანი ტრადიცია და ხევსურეთში გამეფებული წესი დაარღვია - მოკლულ ქისტს მარჯვენა არ მოჰკვეთა.

,,იტყოდა:ცოდვა არიო;

ვაჟკაცი, ჩემგან მოკლული.“

შეიბრალა და წესი აუგო ისე, როგორც ვაჟკაცს და ნამდვილ ადამიანს შეჰფერის.

როცა ვამბობთ, რომ საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოტომელი ადამიანები აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სამშობლოში, რადგან ჩვენმა ქვეყანამ ამ ხალხთან ერთად მიიღო მათი ტრადიციები, მიიღო მათი რელიგია და კულტურა, ამას ამტკიცებს იმ მეჩეთებისა და სინაგოგების სიმრავლე, რომლებიც საქართველოში ააგეს იმის გამო, რომ ელოცათ მუსლიმებს. საქართველოში ცხოვრობს სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის ადამიანი: მართმადიდებლები, მუსლიმები, კათოლიკები, იუდეველები, ბუდისტები და მარავალი სხვა, რომლებსაც შიშის გარეშე შეუძლიათ ემსახურონ საკუთარ რელიგიას, ილოცონ თავიანთ სამლოცველოებში და ეცვათ ისე, როგორც მათ თავიანთი რელიგია კარნახობს. სამყაროსაგან განწირულმა ებრაელებმა კი უსაფრთხოება არა თავიანთ სამშობლოში, არამედ საქართველოში პოვეს და საუკუნეებია

ცხოვრობენ მშვიდად, რადგან ქართველი ერი არ ცდილობს მათ დამცირებასა და ქვეყნიდან გაძევებას, ერმა მიიღო ისინი, როგორც მოძმე და მეგობარი.

ქართველებს სისხლში აქვთ - შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, დასაბამიდან დღემდე მოგვყვება ეს საოცარი თვისება, მტერს არათუ ვაპატიოთ დანაშაული, არამედ სულგრძელობითა და ვაჟკაცობით მივცეთ სიყვარულის მაგალითი. შესაძლოა, ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ ცხოვრობენ ისეთები, რომლებმაც ვერ გაისიგრძეგანეს სიტყვა ტოლერანტობის მნიშვნელობა, თუმცა მათი რიცხვი მცირეა, ამიტომ მაბედნიერებს ის ფაქტი, რომ უმეტესობა პატივს სცემს სხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიისა და განსხვავებული შეხედულებების ადამიანებს. ეპყრობა მათ ძმურად და მიიჩნევს ოჯახის წევრად, რაც მაძლევს შესაძლებლობას ხმამაღლა ვთქვა, რომ - მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ტოლერანტი.